დანართი #1

დამტკიცებულია სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის
26 ივნისის #149/02-01 ბრძანებით

ა) ლაშა საღინაძე _ (კომისიის თავმჯდომარე) _ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე;
ბ) ლიანა ღვალაძე _ საფინანსო დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების უფროსი (მთავარი ბუღალტერი) _ კომისიის წევრი;
გ) რევაზ ციკოლია _ შიდა აუდიტის სამსახურის ექსპერტი _ კომისიის წევრი;
დ) ნაზი კორძაძე _ პერსონალის მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (კომისიის მდივანი)

§ 1. კონკურსის მიზანი

1. კონკურსის მიზანია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების სპეციალისტის (კვების ობიექტის ბუღალტერი) შერჩევა.
2. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით იქმნება კომისია.

§ 2. კომისიის შემადგენლობა

1. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და მდივანი;

§ 3. საკონკურსო კომისიის ფუნქციები:

საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:

ა) კონკურსის წესით უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების სპეციალისტის (კვების ობიექტის ბუღალტერი) შერჩევა.

ბ) აპლიკანტების (ვის მიერ წარმოდგენილი საბუთებიც აკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს) წინასწარი შეტყობინების საფუძველზე გასაუბრებაზე მოწვევა;

გ) კომისიას შეუძლია საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს ექსპერტი, რომელიც კენჭისყრაში მონაწილეობას არ იღებს.

§ 4. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისია კონკურსანტის დაუსწრებლად აფასებს მის მონაცემთა შესაბამისობას უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების სპეციალისტის (კვების ობიექტის ბუღალტერი) თანამდებობრივ მოთხოვნებთან.
2. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის წევრს არ აქვს უფლება თავისი ხმა გადასცეს კომისიის სხვა წევრს.
3. კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატის მიმართ კენჭისყრა განხორციელდება ცალ-ცალკე.
4. იმ კანდიდატების მიმართ, რომლებმაც თანაბარი ხმები მიიღეს, კენჭისყრა განხორციელდება განმეორობით.
5. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის ორი წევრი მაინც.
6. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება;

§ 5. დავების გადაწყვეტა

1.კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.